# ყველაფერი არქტიკის შესახებ

**საკითხავი მასალა**

**მოამზადა მაია ბლიაძემ**

## სად მდებარეობს არქტიკა?

არქტიკა დედამიწის ჩრდილოეთ პოლარული მხარეა და ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის განაპირა ნაწილებს მოიცავს, ასევე თითქმის მთელ ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეს (ნორვეგიის ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილების გამოკლებით) თავისი კუნძულებით (გარდა ნორვეგიის სანაპირო კუნძულებისა) და ატლანტისა და წყნარი ოკეანეების მომიჯნავე ნაწილებს.

სხვადასხვა შეფასებით, არქტიკის ფართობი 21-დან 27 მილიონ კმ$^2$-მდეა (მათგან ხმელეთი 10 მლნ. კმ$^2$) და იმისდა მიხედვით იცვლება, თუ როგორ არის საზღვრები გატარებული.

***არქტიკა რუკაზე***

არსებობს  არქტიკის  ტერიტორიის შემოსაზღვრის სამი ვარიანტი:

1. ზოგიერთი მეცნიერი რეგიონს სამხრეთით, პოლარული (არქტიკული) წრით შემოსაზღვრავს. ამ შემთხვევაში მისი ფართობი 21 მილიონი კმ²-ია. თუმცა, ამ ზონაშიც კი, საცხოვრებელი პირობები ძალიან განსხვავებულია: მაგალითად, თბილი გოლფსტრიმის დინების წყალობით, მურმანსკში  (რუსეთი) უფრო თბილა, ვიდრე იაკუტიაში  (რუსეთი) იმავე განედებზე.
2. ექსპერტთა  სხვა ჯგუფი საზღვრის გავლებას იმ ტერიტორიების გასწვრივ გვთავაზობს, სადაც ივლისში საშუალო ტემპერატურა +10°C-ს არ აღემატება. ეს ვერსია მისაღებია, რადგან ის არქტიკის მთავარ კლიმატურ მახასიათებელს ასახავს. თუმცა ციმბირის ის ტერიტორია, რომელიც უფრო სამხრეთით მდებარეობს, მაინც არქტიკად ითვლება.
3. საზღვრის განსაზღვრა ასევე შესაძლებელია ხმელეთით, რომლის ჩრდილოეთითაც მაღალი ხეები არ იზრდება. ეს კრიტერიუმი ვიზუალურია, მაგრამ მაინც პირობითია ბუნებაში მუდმივი ცვლილებების გამო.

## ვის ეკუთვნის არქტიკა?

არქტიკა დაყოფილია რუსეთს, აშშ-ს, კანადას, ნორვეგიასა და დანიას შორის. არქტიკული ტერიტორიების უდიდესი ნაწილი რუსეთს ეკუთვნის.





კანადა პირველი ქვეყანა იყო, ვინც ღიად განაცხადა თავისი პრეტენზიები არქტიკულ ტერიტორიებზე. 1909 წელს სახელმწიფომ ჩრდილოეთ პოლუსი თავის ჩრდილოეთ სანაპიროდ გამოაცხადა, ხოლო 1925 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელიც არქტიკული ტერიტორიების ნაწილზე კანადის უფლებებს აღიარებდა.

1924 წელს აშშ-მ გამოაცხადა, რომ ალასკის ტერიტორია პოლარული ფსკერის გასწვრივ ვრცელდება. 1926 წელს ჩრდილოეთ პოლუსიდან კონტინენტამდე ყველა მიწა სსრკ-მ თავის ტერიტორიად გამოაცხადა. მოგვიანებით დანიელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ლომონოსოვის ქედი გრენლანდიის კუნძულის გაგრძელებაა, რომელიც დანიის სამეფოს ექვემდებარება. ნორვეგიამ კი განაცხადა, რომ ეს ქედი ასევე ნორვეგიის ზღვის შელფის გაგრძელებაა.

არქტიკული ტერიტორიების უდიდესი ნაწილი რუსეთს ეკუთვნის. მათი ფართობი 4.8 მილიონი კმ²-ია. ტერიტორიები მოიცავს ცხრა რეგიონს, მათ შორის მურმანსკის და არხანგელსკის რეგიონებს. ისლანდიას, შვედეთსა და ფინეთს ოკეანეზე პირდაპირი გასასვლელი არ აქვთ, თუმცა ისინიც არქტიკულ სახელმწიფოებად მიიჩნევიან.

## როგორ ხდებოდა არქტიკის ათვისება?

ევროპაში, შუა საუკუნეებში, ვიკინგები (ლაიფ ერიკსონი და სხვები) ითვლებიან არქტიკის პირველ მოგზაურებად. მათ გრენლანდიასა და ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ კუნძულებს მიაღწიეს.

XVI საუკუნეში ინგლისელ და ჰოლანდიელ მეზღვაურებს სურდათ აზიამდე მისასვლელი „ჩრდილო-აღმოსავლეთის გზის“ პოვნა არქტიკის გავლით. 1576–1630 წლებში მარტინ ფრობიშერის, ჯონ დევისისა და ვილემ ბარენცის ექსპედიციებმა სცადეს არქტიკის ზღვებით გავლა. განსაკუთრებით ცნობილია ბარენცის ექსპედიცია რომელმაც კუნძულ ახალ მიწაზე გამოიზამთრა.

***ექსპედიცია არქტიკაში***



XVII–XVIII სს-ში არქტიკაში ინტესიურად დაიწყო ცხოველებზე ნადირობა (ვეშაპი, სელაპი), შემდეგ კი სამეცნიერო კვლევითი მოგზაურობები.

XIX საუკუნეში დიდი ბრიტანეთი აქტიურად ცდილობდა „ჩრდილო-დასავლური გზის“ აღმოჩენას, რასაც მრავალი ექსპედიცია შეეწირა (ფრანკლინის ექსპედიცია – 1845 წელს).

XIX–XX საუკუნეებში ნორვეგიელი მოგზაური ფრიტიოფ ნანსენი და შემდეგ რუალდ ამუნდსენი აქტიურად იკვლევდნენ არქტიკის რეგიონს. ევროპელთა ექსპედიციები ხშირად ცდილობდნენ ჩრდილოეთ პოლუსის „დაპყრობას“.

არქტიკის ჩრდილოეთ ტერიტორიებს კარგად იცნობდა ჩრდილეოთ ამერიკის ადგილობრივი მოსახლეები – ინუიტები და სხვა არქტიკული ტომები. ევროპელებმა XVI საუკუნეში დაიწყეს ჩრდილოეთ ამერიკული არქტიკის რეგიონის რუკების შედგენა. ინგლისელი და ფრანგი მეზღვაურები (მარტინ ფრობიშერი, ჰენრი ჰადსონი) კანადის არქტიკულ კუნძულებს შორის

ცდილობდნენ აზიისკენ მიმავალი გზის პოვნას. მათ, საბოლოოდ, მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში მოახერხეს გზის სრულად გავლა.

XIX საუკუნეში ბრიტანეთის კოლონიებმა ჩრდილოეთ კანადაში ნადირობისა და სავაჭრო მიზნებისთვის ბაზები მოაწყვეს. XX საუკუნეში კი კანადის მთავრობამ დაიწყო არქტიკის ტერიტორიის კონტროლის გამყარება (საზღვაო ბაზები, ავიაცია).

1867 წელს აშშ-მ ალასკა რუსეთისგან შეისყიდა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ალასკის არქტიკულ ზონაში ინტენსიურად გაიზარდა ნავთობისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვება.

რუსეთის არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით პირველი ადამიანები არქტიკაში დაახლოებით 40 000 წლის წინ გამოჩნდნენ. თავდაპირველად, ისინი მდინარეების, პეჩორისა და ლენას, აუზებში დასახლდნენ, მაგრამ თანდათანობით დასავლეთ ციმბირისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის ათვისებაც დაიწყეს.

არქტიკის შესწავლა XI საუკუნეში დაიწყო. 1032 წელს ნოვგოროდის ქალაქის თავმა და მხედართმთავარმა (ვოევოდა) ულებ რაგვალდსონმაზღვით იმოგზაურა ჩრდილოეთ დვინიდან იუგორსკი შარის სრუტემდე, რომელიც ბარენცის ზღვას კარის ზღვასთან აკავშირებს. XII-XIV საუკუნეებში თეთრი ზღვის სანაპიროებზე ნოვგოროდისა და კარელიის მკვიდრნი დასახლდნენ, რომლებმაც მოგვიანებით პომორები დაირქვეს. არქტიკაში მართლმადიდებლური ეკლესიებისა და ქალაქების მშენებლობა დაიწყო. თუმცა, ტერიტორიები ჯერ კიდევ სრულად არ იყო ათვისებული.

1648 წელს ატამანმა სემიონ დეჟნიოვმა აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის აღმოაჩინა ბერინგის სრუტე. 1733–1743 წლებში დიდი ჩრდილოეთის ექსპედიციის შემდეგ, ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის თითქმის მთელი რუსული სანაპირო რუკაზე იქნა დატანილი.

დღეს არქტიკის განვითარება გრძელდება. უფრო მეტიც, ეს ის ერთ-ერთი პრიორიტეტული ტერიტორიაა მფლობელი სახელმწიფოებისთვის. რეგიონს ნავთობის, გაზის და სხვა ბუნებრივი რესურსების უზარმაზარი მარაგი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მაღალი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია.

# როგორია არქტიკის ბუნება?

ტერიტორია არქტიკულ კლიმატურ სარტყელში მდებარეობს. აქ ზამთარში ტემპერატურა შეიძლება -60 °C-მდე დაეცეს, ზაფხულში კი 0…+10 °C-მდე მერყეობს. რადგან თბილი ამინდები დიდხანს არ გრძელდება, ზოგჯერ თოვლი დადნობასაც კი ვერ ასწრებს.

***არქტიკა ზაფხულსა და ზამთარში***

არქტიკის ლანდშაფტი მრავალფეროვანია. აქ გვხვდება როგორც ვაკეები, ასევე კლდოვანი წარმონაქმნები. არქტიკის უმაღლესი წერტილია მთა გუნბიორნი, რომელიც კუნძულ გრენლანდიაზე მდებარეობს. მისი სიმაღლე 3694 მ-ია.

არქტიკულ უდაბნოებში მცენარეულობა თითქმის არ არის, გარდა ხავსებისა და ლიქენებისა. ისინიც კი ქარისგან დაცულ ადგილებში იზრდება. ტუნდრაში, რომელიც ძირითადად სანაპირო რაიონებშია განლაგებული, გვხვდება ლიქენები, ჯუჯა არყი, ტირიფი და მურყანი. ტყის ტუნდრის ვიწრო ზონაში არქტიკული მცენარეები თანაარსებობენ ციმბირულ და დაურიულ არყთან, ლარიქსთან და ნაძვთან.

არქტიკა მდიდარია ცხოველებით. აქ ბინადრობენ პოლარული დათვი, ჩრდილოეთის ირემი - კარიბუ, თოვლის ცხვარი, ხარვერძი, პოლარული მგელი და მრავალი სხვა. წყლებში ცხოვრობენ ლომვეშები, ვეშაპები და სელაპები.

# რა განსხვავებაა არქტიკასა და ანტარქტიდას შორის?

ადამიანების უმრავლესობა არქტიკას, ანტარქტიკას და ანტარქტიდას ერთმანეთში ურევს. ანტარქტიკა — ბუნებრივი ზონაა, რომლის სამხრეთ საზღვარი 48-60°–იან განედებზე გადის. ამ ზონის ცენტრალური ნაწილი კონტინენტს - ანტარქტიდას და სამხრეთ პოლუსს უკავია. არქტიკა კი ჩრდილოეთ პოლუსის მიმდებარე ტერიტორია.

მიუხედავად იმისა, რომ არქტიკა და ანტარქტიდა ორივე პოლარული რეგიონია, მათ ცოტა რამ აქვთ საერთო.

***არქტიკა და ანტარქტიდა კოსმოსური თანამგზავრიდან***

რით განსხვავდება არქტიკა ანტარქტიდისგან?

1. გეოგრაფიული მდებარეობა: არქტიკა ჩრდილოეთ პოლუსზე მდებარეობს, ანტარქტიდა კი სამხრეთ პოლუსზე.
2. ფართობი: არქტიკა დაახლოებით 27 მილიონ კმ²-ს იკავებს, ანტარქტიდის ფართობი- დაახლოებით 52 მილიონ კმ²-ია.

***ანტარქტიდა და არქტიკა რუკაზე***



3. ლანდშაფტი: არქტიკის საფუძველი ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანეა, ხოლო ანტარქტიკის ცენტრში მდებარეობს კონტინენტი - ანტარქტიდა. გარდა ამისა, ანტარქტიდა პლანეტის ყველაზე მაღალი კონტინენტია, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 2000-4000 მეტრია.
4. კლიმატი: ოკეანის გავლენის გამო, არქტიკა უფრო თბილია: ზამთარში ტემპერატურა -60 °C-მდე ეცემა, ხოლო ზაფხულში 0 ... +10 °C-მდე იმატებს. ანტარქტიდაში ყველაზე დაბალი ტემპერატურა 1983 წლის 21 ივლისს რუსულ კვლევით სადგურ „ვოსტოკზე“ დაფიქსირდა და -89.2 °C იყო. ზაფხულში თერმომეტრი იშვიათად ადის -20 °C-ზე მაღლა.
5. ფლორა და ფაუნა: არქტიკაში ცხოვრობენ ძუძუმწოვრები, ფრინველები და თევზები, ზოგან ჯუჯა ხეებიც კი იზრდება. ანტარქტიდის ძირითადი ბინადრები არიან პინგვინები, ვეშაპები, სელაპები. იქაური მცენარეულობა კი იშვიათი ხავსებითა და ლიქენებითაა წარმოდგენილი.
6. მოსახლეობა: არქტიკაში ქალაქებია აშენებული, ანტარქტიდაში კი მხოლოდ სამეცნიერო სადგურებია განთავსებული, სადაც მკვლევრები და მეცნიერები მხოლოდ გარკვეული დროით მუშაობენ.

რა აერთიანებს არქტიკასა და ანტარქტიდას?

ამ ტერიტორიებს აერთიანებს მკაცრი კლიმატი, პოლარული დღეებისა და ღამეების მონაცვლეობა, ასევე წყნარი ოკეანე, რომლის წყლები სამხრეთიდან ჩრდილოეთ პოლუსამდე ვრცელდება.

# საინტერესო ფაქტები არქტიკის შესახებ

- არქტიკაში, დაახლოებით, 4 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

- არქტიკული ყინული დედამიწაზე არსებული მტკნარი წყლის მთლიანი მოცულობის დაახლოებით 20-25%-ს შეიცავს.

- დედამიწის კლიმატისთვის, არქტიკული ყინული მეტად მნიშვნელოვანია. ის მზის სხივებს ირეკლავს და დედამიწას გადახურებისგან იცავს.

- არქტიკაში, კუნძულ შპიცბერგენზე (ნორვეგია) მდებარეობს მსოფლიოში უდიდესი თესლის საცავი. მასში 4000–ზე მეტი სახეობის მცენარის თესლია, იმ შემთხვევაში, თუ დედამიწაზე სხვადასხვა სახის  კატასტროფა, სტიქიური უბედურებები, ომები ან სხვა საგანგებო სიტუაციები მოხდება.

- ზოგჯერ არქტიკაში თოვლი ანათებს.  უფრო სწორად, ამ ეფექტს კოპეპოდები - მიკროსკოპული კიბოსნაირები ქმნიან. ისინი ჩვეულებრივ ოკეანეში ცხოვრობენ, მაგრამ ზოგჯერ ნაპირზე ხვდებიან და თოვლში ანათებენ. ვარაუდობენ, რომ ეს მტაცებლებისგან თავდაცვის მექანიზმია.

- არქტიკა  თოვლის ბაბუის სამშობლოა. მას ზუსტი მისამართიც კი აქვს: Joulumaantie 1, 96930 Arctic Circle, Finland. იქ ის მხატვარ–კარიკატურისტმა თომას ნასტმა (Thomas Nast) «დაასახლა», როდესაც XIX საუკუნის  60–იან წლებში, სანტა–კლაუსის ნახატები გამოაქვეყნა. იქიდან მოყოლებული, თოვლის ბაბუა არქტიკული წრის მიღმა, უფრო ზუსტად კი ლაპლანდიაში ცხოვრობს.